საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 0 18 00995865

09/08/2018

ზუგდიდის საგანმანთლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს 2018 წლის 9 აგვისტოს N994327 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 05 მაისის N410 ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციებისა და იჯარის ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (სანიტარული ნორმების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობით, არაუმეტეს სამი წლის ვადით) გაიცეს, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კN43.28.42.185) 42 კვ.მ ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად - სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით.

ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ გრძელვადიანი იჯარის შემთხვევაში, მიზანშეწონილია საჯარო სკოლას გააჩნდეს შესაძლებლობა დამოუკიდებელი აუდიტის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე შეიტანოს იჯარის ყოველწლიურ/ყოველთვიურ გადასახად თანხაში შესაბამისი ცვლილებები. ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი



მამუკა ბერიძე